№ 256 ნოემბრის 28, ოთხშაბათი. 1866—1884 წ. ტფილისი ნოემბრის 28, ოთხშაბათი. № 256.

„დროების“ რედაქცია — სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე ... განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

ჟურნალი „ნობათი“-ს გამოცემა 1885 წელში.

(წელიწადი მეორე)

საყოველთაოდ ყრმათა საკითხავი სურათებიანი ჟურნალი

„ნობათი“

პედაგოგიურის ნაწილის დამატებით—მშობელთა და აღმზრდელთათვის—მომავალს 1885 წელში გამოვა იმავე პროგრამით, მიმართულებითა და სივრცით, როგორათაც 1884 წ.

**ჟურნალზე ხელის-მოწერა.** წლიური ფასი ჟურნალი «ნობათი»-სა—ქალაქში დარიგებით და გარეშე გაგზავნით, დარჩა იგივე, ე. ი. ოთხი მან. მარტო ნახევარი წლის ხელის-მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი ღირს ათი შაური.

სოფლის მასწავლებელთ შეუძლიათ გამოგზავნონ: თავ-და-პირველად ორი მან. და დანარჩენი ორი მანათიც—მაისში. რომელთაც ამ რიგად ხელის-მოწერა ჰსურთ, პირ-და-პირ რედაქციას უნდა მიმართონ.

**ხელის-მოწერა** მიიღება: თბილისში—ჟურნალი «ნობათი»-ს რედაქციაში, ალექსანდროვის ბაღთან, ხაზინის გვერდით, თუმანიშვილების სახლში № 7 და შავეროვის წიგნის საავენტროში. ქუთაისში—ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში—მკ. ფურცელაძესთან და თელავში—ივ როსტომაშვილთან.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, въ редакцію грузинскаго педагогическаго журнала „Нобати“.*

(5—1) რედაქტორი გამომცემელი ა. ს. ღულაძე.

## შინაური ქრონიკა

— გუშინწინ საღამოს იყო ჩვენის ქალაქის ხმოსანთა ჩვეულებრივი მორიგი კრება, რომელზედაც სხვათა-შორის ერთი საყურადღებო წინადადება იქმნა განხილული ეს წინადადება წარუდგინა საბჭოს ხმოს. ბატ. ნ. ნიკოლაძემ და შეეხებოდა ქალაქის განათების საქმეს გაზის შემწეობით. ნიკოლაძემ სთქვა, რომ ვიდრე ეს საგანი გადასწყდებოდეს, უნდა საბჭომ განიხილოს, რა ეღირება თითოეული ფარანი გაზითა, და ელექტრონულის ძალით განათებული. მართალია—განაგრძო მან—ევროპის ყველა დიდ-ქალაქებში, როგორც მაგალითად პარიჟში, ბერლინში და ბევრგან სხვაგან ელექტრონულის ძალით განათება ერთი ორად ჯდება გაზით განათებაზე, რადგან ის მაშინები, რომელნიც საჭირონი არიან ელექტრონულის ძალის შეკრებისათვის და რომელნიც ორთქლით მოდიან მოქმედებაში, ძალიან ძვირად ჯდებიან; მაგრამ ჩვენს ქალაქში ამ გვარი განათება ძვირად არ დაჯდება, აქ ორთქლის ძალის მაგიერობას მდ. მტკვარი გაგვიწევსო.

ამას გარდა ბ. ნიკოლაძეს დაუმატებია, რომ ერთი გარემოებაც ცოტა არ იყოს, გააადვილებს ელექტრონულის ძალით ქალაქის განათების საქმეს. ეს გარემოება წყლის გაყვანაა ქალაქში. უკვე გადაწყვეტილია რომ წყლის გამყვანი ბადე იქმნას მომართული. როცა წყლის მილების დაწყობისათვის მუშაობას შეუდგებიან, მაშინ ამ მილებთან ერთად ელექტრონულის მავთულების გაყვანა სრულიად საძნელო საქმეს არ შეადგენსო.

ამ სახით, ნიკოლაძის აზრით, იმის მაგიერ, რომ ნავთით განათებიდამ გაზით განათებაზე გადავიდეთ, ისევ სჯობიან, რომ ნავთს პირ-და-პირ ელექტრონი მოჰყვეს და გაზს სრულიად თავი მივანებოთ.

ქალაქს ზეორგიევსკსაც ასე უქნია, როგორც დაუმოწმა ხმოსანს ნიკოლაძეს ექ. ონანოვი.

— გამოვიდა ერთ წიგნად ქართული პედაგოგიური ჟურნალის „ნობათი“-ს მე-VII, VIII და IX ნომრები. რედაქცია ბოდიშს იხდის მკითხველებთან ჟურნალის დაგვიანებისათვის და არწმუნებს მათ, რომ თვით „რედაქციასაც სამწუხაროდ მიაჩნია „ნობათი“-ს რომელიმე წიგნის დაგვიანება და ამისათვის ყოველივე თავისი ძალ-ღონე მხოლოდ იმაზედა აქვს მიქცეული, რომ ამ გვარი დაგვიანება აიცილოს, მაგრამ რასა იქმს კაცი იქ, სადაც ძალა აღმართსა ხნავსო“. რა ძალაა ეს ძალა, რომელიც რედაქციას აქვს მიზეზად ჟურნალის დაბრკოლებისათვის, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. რედაქცია ამ გვარ მიზეზად ასახელებს სხვა-და-სხვა განიჭიერებანი, რომელთაც განვითარება ეჭირებოდათ, — მაგრამ ეს კი ვიცით, რომ 1199 წელს ახლო, როდესაც იგი ოცის წლისა იყო, გაგზავნილ იქმნა ათინას. მაშინ მოგზაურობას დიდხანს უნდებოდენ და ძვირადაც ჯდებოდა. მაშ რუსთაველის მშობელნი ან საკმაოდ მდიდარნი იყვნენ, ან, თუ სომეხ ისტორიკოსს ვართანს დავუჯერებთ, რუსთაველი წავიდა სახელმწიფო ხარჯზედ სხვა 30 ყმაწვილთან ერთად, რომელნიც ყოველ წელს უფასოდ იგზავნებოდენ საბერძნეთში თავიანთ სწავლის დასამთავრებლად.

## «დროების» ფელეტონი, ნოემ. 28-ს

### ჯერ არ დაბეჭდილი ხელნაწერი

«L'homme à la peau de tigre»

par

CHOTA ROUSTHAWÉLI

„ვეფხვის-ტყაოსანი“

ფრანცუზულს ენაზე ნათარგმნი

იონა მეუნარგიასი. *).

ეხლანდელს დროში ძნელად მოსაფიქრებელია ეპოვებოდეს იმისთანა თავდადებული ქართველი, რომელიც მთელი თვეებით ჩაებას და შეუდგეს თარგმნას ქართულ ეპიკურ პოემისას ფრანცუზულს ენაზედ; ძნელად მოსაფიქრებელია, რომ მდიდარმა ქართველმა კომერსანტმა, ახალმა მეცენატმა ათას თუმნამდე გადასდოს ლიტერატურის ნაწარმოებთა დასაბეჭდავად;— ამ გვარი ფაქტი ერთად ერთია კავკასიის ლიტერატურის ისტორიაში და ამიტომ ღირს ამაზედ ლაპარაკი.

*) ეს შრომა ჩვენის გამოჩენილის პოემის შესახებ ეკუთვნის ბ. მურიეს, რომელიც აპირობს მის დაბეჭდვას ფრანცუზულს ენაზე, მაგრამ დაბეჭდვამდე დაგვავალა და გადმოგვცა ჩვენ ჩვენის მკითხველებისათვის გასაცნობად.

რედ.

მე მომანდო ბ. იონა მეუნარგიამ შემესწორებინა ფრანცუზული თარგმანი რუსთაველის „ვეფხვის-ტყაოსნისა“. რაც უნდა სთქვან სხვათა, მე მგონი საჭირო არ არის უეჭველად ქართულის ენის ცოდნა ამ პოემაზედ საკუთარის აზრის წარმოსათქმელად: ენა, დიდის აზრებითა, დიდის გრძნობით, დიდის ვნებათ-ღელვით აღსავსე საქვეყნოა და ყველასათვის გასაგები და თუ «ვეფხვის-ტყაოსანი» საუკეთესო ქართული ქმნილებაა, მე მგონია, ფრანცუზულადაც არ უნდა გამჭირებოდა მისი გაგება.

ეს რამდენიმე საუკუნეა, რაც რუსთაველი ყველასაგან ცნობილი შეიქმნა: იმის პოემიდამ გადიღეს საუკეთესო ადგილები რუსულს ენაზედ, პოლშურზედ, ნემეცურზედ და თვით ფრანცუზულზედაც.—ეხლა მზადდება ჩინებული გამოცემა ქართველ მწერალთაგან საბოლოოდ შემუშავებული ტექსტისა, რომელსაც სურათებს ზიჩი უხატავს და რომელიც, იმედია, მომავალს წელს შესრულდება. მაშასადამე ამ ქმნილებას უკვდავად გაუვლია საუკუნეები და კიდევაც გაივლის და ამ გვარად «ვეფხვის-ტყაოსნის» შემქმნელის საქმე მოგებულია. მაგრამ მე მინდა ვცადო ავხსნა, თუ როგორ შეთხზა რუსთაველმა ეს ვრცელი ეპიკური პოემა; რა აზრით შეთხზა იგი, რა გარემოებაში და რისთვის, ან ვისთვის; რა არის ამ პოემის მნიშვნელობა; რა არის მისი ღირსება და ნაკლულევანება.

როგორც ამბობენ, შოთა რუსთაველი დაიბადა 1172 წელს ახალციხის ახლო, რუსთავში, ერთს პატარა სოფელში, რომელიც მაშინ ლამაზად გადაჭიმულიყო მტკვრის ნაპირას და სადაც ეხლა მარტო ქურთების ქოხებილაა.

ამ სოფელში გაიარა რუსთაველის ყმაწვილობამ; მასუკან მისმა მშობლებმა 1186 წელს ახლო, გაგზავნეს იგი ბრემს, კახეთში, თელავს ახლო ერთს ვისმე ორბელიშვილთან, კაცთან ნასწავლთან, რომელიც, როგორც ამბობენ, მისი მეგობარი იყო, მაგრამ ჩემის აზრით, ამ ორბელიშვილს უნდა ეკისრა მისი აღზრდა და მასთან უნდა გაეტარებინა რუსთაველს პირველი წლები თვისის ჭაბუკობისა.

რუსთველმა ისწავლა იქ ყოველივე, რასაც იმის დროს სწავლობდენ: ცხენზე ჯდომა, იარაღის ხმარება, ცეკვა, ბურთაობა, ქორ-მიმინოთი ნადირობა, წერა-კითხვა და სახარების თქმა.

არ ვიცით, გონიერმა და მშრომელმა მოწაფემ აჯობა თავის მასწავლებელს სწავლა-მეცნიერებაში, თუ სხვათა აღმოაჩინეს მასში ბუნებრივნი

რუსთაველმა სწორედ ათინაში გაიცნო კარგად დიდი გენიოსები ძველის დროისა; იქ ჰკითხულობდა და სწავლობდა ფილოსოფოსთა და ისტორიკოსთა თხზულებებს. იქ პირველად მოისმინა მან მწყობრი გალობა, მუსიკა. მე მგონი, იქ, იმ მომხიბლავს ბუნებაში, ლაჟვარდ ზღვის პირს, დიდებულ და მჭევრ-მეტყველ ძველის დროის ნაშთების ჩრდილში, პირველად სცადა მან ლექსების თქმა. მე დარწმუნებული ვარ, რომ იქ განმარტოებულმა და თავის ქვეყანას მოშორებულმა განიზრახა დაწერა თავის გამაუკვდავებელის პოემისა. ეს პოემა თვის გასაფურჩქნავად მოელოდა მხოლოდ ნაპერწკალს იმ სიყვარულისას,

რემოებას და სხვათა-შორის მატერიალურ საშუალების უქონლობასაც.

უკანასკნელის წიგნის (სამი ნომერი) შინაარსი შემდეგია ა). ნანინა, ლექსი. X—X-ისა ბ) ბუზი-ბზუილა და ფუთკარი ზუზუნა, (მიბაძვა) მ. ჯანაშვილისა გ). მოგზაურობა ოთახში, ეზოში და ბაღში. ანისა. დ.) ჭონის შაგირდი (ბებიის ნაამბობი) სანდალასი, ე.) ყმაწვილის ოცნება, ლექსი X—X-ისა. ვ) როსტომელა, არაკი ი. მ — ელისა. ზ) უაყიტას ქურდი (მოთხრობას. მგლობლიშვილისა, თ) სამნი ძმანი (ხალხური ზღაპარი) მ. ნასიძისა. ი) შროდოვსი (სპარსული ამბავი, სურათებით) სომხურიდამ ნათარგმნი ზ. მამულიანცისა. ი. ყმაწვილები ღრუბელში (მართალი შემთხვევა, რუსულით) ვარგაველისა. ია.) ისტორიული კოკორი: 1 წმ.— მ. მ. დავით და კონსტანტინე, II მეფე ვახტანგ გორგასლანი—მღვ. დიმ. ჯანაშვილისა; იბ) ფიზიკა: ჰაერი და მისი თვისებანი; იდ) გამოცანები და სხვ.

შინაარსი დამატებისა შემდეგია: იე.) პედაგოგია: ფიზიკური აღზრდა, წყალტუბლისა; ივ) სამაგალითო გაკვეთილები: სამღვთო სჯულის სწავლება, მისივე. იზ),—ბიბლიოგრაფია; „კონა", საკითხავი წიგნი, შედ. ი. გოგებაშვილისა. ით) ახალი წიგნები, იი) „ნობათი"-ს ფოსტა (ყდაზედ).

— «მწყემსის» უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია სხვათა-შორის წერილი მ. შ—ძისა ქართულის ენის სწავლების შესახებ. ავტორი შეეხება ამ საგანს განსაკუთრებით იმ მხრით, რა მხრითაც ქართულის ენის სწავლება სასულიერო სასწავლებლებში იქცევს ჩვენს ყურადღებას. ბ. მ. შ. ჰპოვებს, რომ ჯერ-ჯერობით ქართული ენა კარგად ვერ ისწავლებაო. „ჩვენ არც გამოკვლეული პროგრამა გვაქვს, ამბობს იგი—და არც განსაზღვრული სახელმძღვანელოები; წარსულ წელშივე, როდესაც ქართული ენა გახდეს სავალდებულო საგნად, უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ მოითხოვა ქართული ენის პროგრამა. როგორც იყო პროგრამა შეადგინეს და წარუდგინეს მთავრობას დასამტკიცებლად, მაგრამ ჯერ-ჯერობით კი არ ვიცით: დამტკიცდა პროგრამა, თუ არა; პროგრამა ითხოვს რომ სასულიერო ლიტერატურას უფრო მეტი ყურადღება ჰქონდეს მიქცეული, ვიდრე საეროს. ეს ცხადია. წინედ თურმე ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, დავითნს ასწავლიდენ შეგირდებს, მაგრამ პროგრამის შემდგენელნი მიხვედრილან, რომ მარტო დავითნი არ კმარა და არც მისი კითხვა იქნება აგრე გასაგები უმცროს კლასებში და იხევ „დაბადების" ზოგიერთა ადგილები დაუმჯობინებიათ. პროგრამითვე საერო ლიტერატურიდგან განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიაქციონ მასწავლებლებმა თანამედროვე მწერლებს; შეასწავლონ ყმაწვილებს მათი სხვა-და-სხვა პროზაიკული ნაწერები, ლექსები, აგრეთვე სახალხო არაკები. ძველ მწერლებსაც უნდა ექმნას ცოტაოდენი ყურადღება მიქცეული, აგრეთვე გრამატიკის და მეტადრე საეკლესიო გრამატიკის შესწავლას.

რაიცა შეეხება სახელმძღვანელოთა, წერილის ავტორი ჰფიქრობს, რომ უნდა შესდგეს ან «ქრისტომატია» და ან «ლიტერატურის მიმოხილვა», რომელშიაც უნდა იქმნეს განხილული შესანიშნავნი სასულიერო და საერო მწერალნი ძველისა და ახალის დროისა თავიანთი უფრო საყურადღებო თხზულებებითურთ. ამ გვარის სახელმძღვანელოს შემდგენელმა არ უნდა დაივიწყოს საეკლესიო გრამატიკაც, რომელსაც აქამომდე არავითარი ყურადღება არა ჰქონია მიქცეულიო.

— ამიერ-კავკასიის საქალებო ინსტიტუტში მთავრობამ ნება-დართო, რომ გაიხსნას მოსამზადებელი კლასი.

— ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს სოვეტოვს თავისუფალ ეკონომიურის საზოგადოების სხდომაზე წარმოუთქვამს სხვათა-შორის, რომ კავკასიაში მოგზაურობის დროს მას უნახავს და დარწმუნებულა, რამდენად მოხერხებულად მოთავსებულან ამ ქვეყანაში უცხოელნი. მისის სიტყვით ყველა რუსებისაგან გამართული აბრეშუმის წარმოება თან-და-თან იღუპება, მაშინ როდესაც უცხოელებისა ჰყვავის. საფრანგეთის პლანტატორებს ლიონის ფირმისას საფრანგეთიდამ აბრეშუმის თესლიც-კი ჩამოაქვთ კავკასიაში და ყველა აბრეშუმის მწარმოებელთა შორის ასალებენ მას მისხალს 4 მან.

— კავკასიიდამ გადასახლებულნი მთიელნი, რომელნიც ტრაპიზონის ვილაიეტში დაბინადრებულან, მეტის-მეტად შეუწუხებია ადგილობრივს გუბერნატორს სირა-ფაშას. მოთმინებიდამ გამოსულთ მთიელთ მიუციათ ქაღალდი ხვანთქრისთვის და უჩივიან, რომ გაუგებარის ფანატიკობით და მძვინვარებით გვდევნისო. საჩივარი ასე თურმე თავდება: ჩვენ დავანებეთ თავი ჩვენს სამშობლოს და გადმოვსახლდით აქ განსაკუთრებით იმ აზრით, რომ დაგვეცვა მუსულმანური სარწმუნოებაო. ხოლო თუ მართლ-მორწმუნეთა ქვეყანაში ცხოვრება ასეთი აუტანელი იქმნება, ჩვენ აღარაფერს შევხედავთ, რადგან დიდი ხანია თავისკენ გვიზიდავენ მშობელი მთაათსავანეთა მწვერვალნიო (გაზ. „კავკაზი").

## რ უ ს ე თ ი

ფინანსთა სამინისტრომ, როგორც ამ მოკლეს ხანში გვაცნობა დეპეშამ, მოახდინა განკარგულება, რომ საგუბერნიო და სამაზრო ხაზინებში ერთსა და იმავე დროს ერთად არ მსახურობდენ ხოლმე ახლო მონათესავენი: მამა შვილითურთ, ბიძა ბიძაშვილითურთ, პაპა (ბაბუა) შვილის შვილითდა სხვ. ამ გვარის განკარგულების მიზეზად ის მოჰყავთ, რომ ვინიცობაა ხაზინადარი ან ამის თანაშემწე ავად გახდეს, ახლო მონათესავეთ არა ჰქონდეთ ნება ხაზინის საწყობში შესვლისა. ამ ცირკულიარის ძალით ბევრი მოსამსახუ-

---

რომელიც აღუგზნა მას გულში უდიდებულესმა დედოფალმა საქართველოისამ.

რამდენიმე წელიწადი გარეშე ყოფნის შემდეგ, იგი დაბრუნდა კავკასიაში და მიღებულ იქმნა თამარის სასახლეში. ამ ჟამად ცოლიანი იყო იგი თუ უცოლო და შეირთო მხოლოდ დედოფლის ხაზინადრად დანიშვნის შემდეგ?

ძალიან საინტერესო იქნებოდა ჩვენთვის, ვიცოდეთ დაწვრილებით ეს ამბავი. იციან მხოლოდ ეს, ანუ ჰგონიათ რომ იციან, ვითომ რუსთაველმა შეირთო ცოლი, რომელმაც უღალატა მას და გასცვალა ერთს არაბზედ და მასუკან რუსთაველი საჯაროდ გაეყარა მას.

მე უფრო მჯერა, რომ ესეთი ხანმოკლე და ბედკრული ცოლ-ქმრობა განუმზადა მას, ათინაში ყოფნის დროს, ორბელიშვილმა, ან მისმავე ოჯახობამ და ქორწილი საქართველოში დაბრუნების დროსვე მოხდა. იმ დროისებურის წესის კვალობაზედ, როდესაც ჭაბუკნი ათინიდამ ბრუნდებოდენ და სამღვდელოებაში არ შედიოდენ, უმოყვრდებოდენ რომელსამე თავად-აზნაურის გვარს და ხშირად მთელს მათს ქონებას მათგან შეძენილი დიპლომი შეადგენდა.

მე წარმოდგენილი მაქვს, რომ რუსთაველი ახალგაზდა, მშვენიერის სახისა, სწავლული, მაღალის ადგილის მჭერელი, რაკი დაესწრობოდა ზედიზედ მომხდარს გამარჯვებას სპარსელებზე და ოსმალებზე, გამარჯვებათა, რომელთაც განამშვენიერეს პირველი წლები თამარის მეფობისა; რაკი ნახავდა აღდგინებას ხელოვნებისას, რომლის აღწერაც მე ვცადე კავკაზიის ხელოვნების შესახებ; ერთის სიტყვით, რაკი თვალს ვერ გაუსწორებდა დიდებას საქართველოისას ერთის ქალის წყალობით შეძენილს,—არ შეიძლებოდა არ ჩასახოდა გულში სიყვარული თვისის დედოფლისადმი, რომელსაც არ უღალატა მთელი თვისი სიცოცხლე. ამ სიყვარულმა, როგორც ლეგენდა ამბობს, აიძულა იგი ჯვარის მონასტერში, იერუსალიმში შესულიყო, დედოფლის სიკვდილის შემდეგ ბერად შემდგარიყო და მომკვდარიყო იქვე.

მერე თამარს კი უყვარდა რუსთაველი? მე არა მგონია. ერთად-ერთი პორტრეტი, რომელიც ნამდვილი უნდა იყოს, დახატულია ბეთანიის ეკლესიის კედელზედ. ამ პორტრეტს თუ დავუჯერეთ, თამარი უნდა ყოფილიყო წმინდა ქართული ტიპისა, ლამაზი, წამოსადეგი, დიდი შავი თვალები ჰქონოდა, მაგრამ სახე მისი არ არის გამომეტყველი, მაჩვენებელი დიდის მახვილ-გონიერებისა და გულ-ციობაც ეტყობა. ბიზანტიური სკოლის არტისტისაგან შექმნილი მისი სურათი მკაცრი წარმოსადეგია. იგი გვიხატავს თვალ-წინ სურათს ქალისას, რომელიც ამაყობს თავისის უბრალოებით და შეგნებული აქვს თვისი მშვენიერება; მაგრამ არ ეტყობა კი, რომ მზა იყო იგრძნოს, ან განუყოს ვნებათ-ღელვა, გარეშე იმ კანონიერის კავშირისა, რომელნიც ორჯერ არგუნა მას სამღვდელოებამ და არგუნა არა მისდა საბედნიეროდ.

იმდროინდელი ფეოდალური წესწყობილება, პოლიტიკაზედ ზრუნვა და ცრუ-მორწმუნე მიმართულება, რომელმაც იმდენი ეკლესიები ააგებინა და იმდენი ძვირფასი ხატები შეაწირვინა, არ დაუტოვებდა თამარს გართობისათვის დროს. მისი განთქმული მშვენიერება და საზოგადო თაყვანისცემა უცნაურს აზრებს ჩააგონებდა თვისს ქვეშევრდომებზედ და თვისს პირადს ღირსებაზედ.

როგორ უნდა დაემცირებინა თავი და აჰყოლოდა ერთს ტრუბადურს, რომელსაც წილად ჰქონდა მხოლოდ ჩანგზედ მღერა თამარის შემამკობელ ლექსებისა; და ამ ლექსებს იგი აღირსებდა ყურის გდებას, როგორც საკმევლს მის სასახელოდ კმეულს.

ტრუბადურის მნიშვნელობაზედ საქართველოში სხვა წარმოდგენა არსებობს, ვიდრე ევროპაში. აქ ტრუბადური არა ნიშნავს რაინდს, რომელსაც ჩვენ შეჩვეულნი ვართ, და მეტადრე არა ნიშნავს მაცდურს მომღერალს, რომლის როლსაც, როგორც თვით ტრუბადურები, ისე ტრუვერები ხშირად თამაშობდენ შუა საუკუნოებში. ციხე-დარბაზის პატრონი გულ-კეთილი ქალი ევროპაში მალე გადუშლიდა ხოლმე თავის გულს პირველსავე მომხიბლავს მაწანწალას, რომელიც გაზაფხულობით, მოწყალების პარკით ხელში, სკრიპკა-გადაკიდებული მოდიოდა მასთან და ვიდრე თვით პატრონი სახლისა გარედ ომს ერთობოდა, მალე ავიწყებინებდა კეთილშობილ ქალს თავის ჩვეული სიმღერებით გრძელ ზამთრის ღამეებს, უსიამოდ გატარებულთ ჯარის რთვაში და ჰანდრაკის თამაშობაში მისს შინა-ყმებთან.

კავკასიაში კი ისინი არა მკიდენ სიყვარულის ნაყოფთ, რომელნიც ლექსებს ამბობდენ და მღეროდენ სიყვარულზედ. ეს ორი როლი სულ სხვა-და-სხვაა და ერთმანეთში არ უნდა გაირიოს. განა ჩვენს დროს კი არა ვხედავთ მოცეკვართ, მემუსიკეთ, ლექსების მთქმელთ, პოეზიის ბოშებს, რომელნიც ქალაქიდამ ქალაქად და სახლიდამ სახლად დადიან, ყველგან სიამოვნებით იწვევენ, მაგრამ რომელთაც დიდი კაცის ცოლი თავის დღეში საყვარლად არ გაიხდის.

ესეთი უნდა ყოფილიყო რუსთაველის ბედიც. მაგრამ იქნება თამარმა განსაკუთრებულის თვალით დაინახა იგი? იქნება ორის კავშირით ოცნება—გამქრალს, გალაღებულს ახალის და უცნობის პოეზიით, რომელიც თითქმის ალმერთებდა მას, გვიან გაეღვიძა გრძნობა, ცნობის მოყვარეობამ გაიტაცა, აღატყინა მწვავი სიყვა-

რენი სხვა-და-სხვა ხაზინებში დაითხოვეს სამსახურიდამ.

—

იუსტიციის სამინისტროს წარუდგენია სახელმწიფო რჩევაში აღრიცხვა იმ ხარჯებისა, რომელნიც მომავალის წლისათვის უნდა გაცემულ იქმნას ოლქის სასამართლოთა შესანახავად. სხვათა შორის თბილისის ოლქის სასამართლოსთვის გამოთხოვილია 706,922 მან. ყველა ოლქის სასამართლოთა შენახვა მთავრობას დაუჯდება მომავალ წელში 9,066,277 მან. ამ ხარჯის დამოუკიდებლად სასამართლო პალატებისათვის აღრიცხულია 1,119,445 მან. ხარჯი.

—

უმართებულესი სენატი განმარტებს, რომ ბეჭდვის საქმეთა უმაღლესის სამმართველოს ვალდებულებას შეადგენს პასუხის გებაში მიცემა იმ უცენზურო გამოცემათა რედაქციებისა, რომელნიც კერძო პირებზე დაბეჭდილს ცრუ ცნობათა გასამტყუნებლად ამ პირთა თხოვნით არ დაბეჭდენ გასამართლებელ პასუხსა.

—

1886 წ. შესრულდება 25 წელი, რაც რუსეთში ბატონ-ყმობა გადავარდა. ამ წლის დიდებულად სადღესასწაულოდ ემზადება მთელი რუსეთი. პეტერბურგის ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს შეიძინოს დიდი სურათი, რომელიც წარმოადგენს იმპერატორ ალექსანდრე II, როდესაც აწ განსვენებული იმპერატორი 1861 წ. მარტის 17 სდგას ადმირალტეის მოედანზე აუარებელის ხალხის შუა. სურათი, სიგრძით 9 და სიგანით $6\frac{1}{2}$ ადლი, ნახატია მხატვრის დიტენბერგისა. $5\frac{1}{2}$ წ. მოუნდომებია განსვენებულს მხატვარს ამ სურათის დახატვისათვის. მხატვრის ქვრივისაგან შეუძენია ეს სურათი ვინმე ვებერს, რომელსაც ეხლა წინადადება მიუცია პეტერბურგის ქალაქის გამგეობისათვის შეიძინოს ამ გამგეობამ ეს სურათი მისგან 30,000 მან.

—

სახელმწიფო რჩევაში ამ ჟამად გაცხარებული მუშაობაა 1885 წლისათვის სახელმწიფო ხარჯების აღრიცხვაზე. მომავალს ქრისტეშობისთვის 15-თვის უეჭველად უნდა განიხილოს ეს საქმე, რომ მომავალის წლის იანვრის 1-თვის შეიძლებოდეს სახელმწიფოს აღწერის შედგენა.

—

ამ უკანასკნელ ხანებში ბევრი ქაღალდები წასულა, სადაც ჯერ არს, სხვა-და-სხვა ქალაქის გამგეობათაგან, იმის შესახებ, რომ ქალაქს შეუმცირდეს ხარჯი ადგილობრივის პოლიციის შენახვისა. შეუწყნარებიათ მხოლოდ იმ ქალაქების თხოვნა, რომელთაც შემოსავლის წყაროების სიმცირე შესამჩნევად ეტყობათ. პირ-იქით იმ ქალაქებმა, რომლის მცხოვრებთა რიცხვი თან-და-თან მატულობს და აქედამ შემოსავალიც იმატებს, უფრო მეტი ხარჯი უნდა გაიღონ ხოლმე ადგილობრივ პოლიციის შესანახავად.

## უცხოეთი.

—

საფრანგეთი. რამდენადაც იმპერატორის ვილჰელმისაგან წარმოთქმულმა სატახტო სიტყვამ ასიამოვნა საფრანგეთი, ორი იმდენად უსიამოვნებას აყენებს თავ. ბისმარკი ამ ქვეყანას ტონკინის საქმეების გამო. „რაც კი უმზგავსი, სისულელე რამ ხდება საფრანგეთში, ეს სულ თ-ის ბისმარკის მანქანებითაო! წარმოუთქვამს ერთს დეპუტატთა კრებაზედ დეპუტატს კლემანსოს. «ბისმარკი საფრთხილოა, როგორც მტერი და უფრო საფრთხილო როგორც მოყვარეო». საზოგადოდ ამ ტონქინის საქმეების შესახებ დეპუტატთა შორის დაუცხრომელი კამათობაა გამართული პალატაში. უფრო ხშირად უპატიურად ექცევიან მინისტრთა პრეზიდენტს ფერის. მაგრამ თავის მხრით ფერიც მკვიდრად სდგას ჯერ-ჯერობით და შეძლებისამებრ პასუხობს მოკამათეთა. ფერის აზრით, ბარემ მასაც არ სურდა, რომ ჩინეთსა და მათ შუა ამ რიგად წასულიყო საქმე, მაგრა ეხლა, რაკი გავებით ამ საქმეში — ენერგიულის მოქმედების მეტი არა დაგვრჩენია-რაო, ყველა ამისათვის კარგა დიდი თანხაა საჭირო და მოვითხოვ მოგვეცეს იმდენი საშუალება (ფული), რამდენიც მომავალის წლისათვისაც მოგვინდებაო.

—

გერმანია. მთელი ევროპა «ვერას გახდა ჩემთან ბრძოლით, ვერ შემარყია მან, და თქვენ გინდათ, რომ რასმე გახდეთ ჩემთან, თქვენა გსურთ ჩემი შეშინება»! — აი, ძედა აზრი იმ გრძელის, ცხარე სიტყვისა, რომლითაც გერმანიის კანცლერმა თავ. ბისმარკმა მიმართა რეიხსტაგის წევრთ. კანცლერმა სათითაოდ გაარჩია ყველა დასი ახალის რეიხსტაგისა და უმეტესობას კილი მოუნახა. ამ გვარი დაფასება დასებისა ვერაფრად მოუწონეს თ. ბისმარკს ნემეცურმა გაზეთებმა, გარდა ორის თუ სამის ოფიციოზურის გაზეთისა. თვით კრებაზედაც მისცეს პასუხი რამდენიმე მეთაურთა თ. ბისმარკს და მათ შორის რიკერტის პასუხმა ყველაზედ უმეტესი აღტაცება გამოიწვია რეიხსტაგის კრებისაგან. «არ გაგონილა ამ გვარი დაფასება, ამ გვარი კრიტიკა, რომლითაც თ-მა ბისმარკმა შეამკო ახალი რეიხსტაგი», სთქვა, სხვათა-შორის რიკერტმა. „თუ კი მართლა 157 წევრია მხოლოდ ერთ-გული იმპერატორისა და იმპერიისა (როგორც ბისმარკმა აღიარა) მაშ დანარჩენები მტერნი ყოფილან იმპერატორისა და იმპერიისა. კანცლერის შინაგან პოლიტიკაზე ეს ისეთი ცხარე განჩინებაა, რომლის გვარადაც მასზედ აქამდის თვით მის მტერთაც არ მიუმართავსთ. მე არ შემიძლიან აღვიარო მისი (ბისმარკის) უფლებანი, რომელთა ძალითაც მას შეეძლოს გახდეს მსაჯულად ჩვენის რწმენისა. იმპერიის კანცლერი მამულის მოყვარეა და ჩვენც, როგორც მოქალაქენი, ვითხოვთ რომ პატივისცემით იხსენიებოდეს ჩვენი პატრიოტული გრძნობანი, არ იქმნენ ისინი

---

რულის გამოცხადებამ; იქნება მადლობის გრძნობამაც დასძლია მას და შეაყვარა თავისი პოეტი, ან გრძნობამ მოატყუა და შეყვარებული ეგონა. ეს შესაძლებელია და უფრო შესაძლებლად წარმოგვიდგება, თუ მოვიგონებთ, რომ ერთსა და იმავე დროს რუსთაველი გაეყარა თავის ცოლს და თამარ, გიორგისთან გაყრილი, დათანხმდა დავითთან შეუღლებას. ისეთი ერთგულება და თაყვანის-ცემა თამარის სახელისა, რომელიც შეადგენს დიდების წყაროს რუსთაველისათვის, უნდა უფრო სხვაფრივ აიხსნებოდეს ვიდრე მეფის ორიოდ ალერსიანი სიტყვით. ყველა იცნობს ქართველების ხასიათსა, ჩვეულებასა და ბუნებას და არც ის უნდა დავივიწყოთ, რა ზნეობისანიც იყვნენ მეფე-დედოფალნი და თავადნი იმ დროისანი. ამის შემდეგ ძნელია დავერწმუნოთ პლატონიურ სიყვარულს, რომლის მაგალითს ისტორია არც ერთს არ წარმოგვიდგენს.

რადგან არავითარი ნამდვილი ცნობა არა გვაქვს ამის შესახებ, ამიტომ ნუ დავამცირებთ ღირსებას თამარ-მეფისას და ეჭვს ნუ შევიტანთ მისს პატიოსნებაში, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ის დედა-კაცი იყო. ამას გარდა ნუ დავამცირებთ ნურც პოეტს, ნუ დავწამებთ მას პირფერობას, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ისიც მამა-კაცი იყო.

ეს ეჭვი რომლის გაფანტვაც სწადიან ახალს კრიტიკას და რომელიც გარშემო ერტყმის ყოველთვის ამ ორის სალეგენდოდ გარდაქცეულ პირის ერთმანეთთან დამოკიდებულებას, აძლიერებს უფრო ჩვენს ცნობის-მოყვარეობას, ინტერესს რუსთაველის ქმნილებისადმი, რომლის აქა-იქ გაბნეულნი ლექსნი გვაძლევენ საბაბს სხვა-და-სხვა აზრის შედგენისათვის.

ბევრს ჰგონია, ვითომ ორნი გმირნი ქალნი პოემისა თინათინ და ნესტარ-დარეჯან თამარს წარმოგვიდგენდენ. ბევრს პირ-და-პირ, საქვეყნოდ სიყვარულის გამოცხადებად ეჩვენა რამდენიმე ლექსი შესავალისა, რომელთაც აქამდის ცუდად სთარგმნიდენ. მართალია პოეტი ამბობს:

„დავკუმლურდი, მიჯნურთათვის კვლავ წამალი არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი!“

. . . . . . . . . . . . . . . . . . .

„აწ გული გამიჯნურდა, მიხდომია ველთა რბენა,
მიაჯეთ ვინ, ხორცთა დაწვა კმარის, მისცეს სულთა ლხენა“.

. . . . . . . . . . . . . . . . . . .

„იგის ჩემი სიცოცხლე....“

მაგრამ ეს ლექსები მასუკან უნდა იყვნენ მიმატებულნი და ძნელად წარმოსადგენია, რომ იგინი წაეკითხა მას თამარის მეულლის წინაშე, რომელიც ამ შემთხვევაში მეტად სათაკილო ყოფაში იქნებოდა. გადავხედეთ 700 საუკუნეს და წარმოვიდგინოთ თამარ-დედოფლის სასახლე გაბრწყინვალებული და მე-XII საუკუნის ეტიკეტისამებრ მომართული; წარმოვიდგინოთ რუსთაველი მომღერალი თვისის პოემისა. ზანა ჭკუაში მოსასვლელია, რომ ამ ნადიმზედ იმისთანა პირს, რომელსაც, ვგონებთ, აზნაურის ღირსებაც არა ჰქონდა, გაებედნა და საქვეყნოდ გამოეცხადებინა თვისი სიყვარული თავის მეუფისადმი? მერე იმ ჰომერიულ ნადიმზედ, სადაც ღვინის სიუხვე ყოველსავე ძალადობას ზოდიშს ადვილად მოხდიდა.

ამასთანავე ავიწყდებათ, რას ამბობს პოეტი რამდენისამე სტრიქონის შემდეგ:

«ჰხამს თავისსა ხვაშიადსა (მიჯნური) არვისთანა ამჟღავნებდეს,
არ ბედითად ჰკვი ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს,
არსით უჩნდეს მიჯნურობა.....»

ამბობენ, რომ პოემა თამარს უძღვნა რუსთაველმაო. მაგრამ ერთ-ერთს უკანასკნელს ხანაში პოეტი ამბობს:

«ქართველთა ღვთისა დავითის, ვის მზე მსახურებს სარჩებლად,
ესე ამბავი გავლექსე მე მათდა საკამათებლად».

ზოგს ჰგონია, რომ ამ სიტყვებით რუსთაველს უნდოდა დაემალა თავისი აზრი და არ გაემხილა პირ-და-პირ, ვის უძღვნიდა იგი თავის პოემას. მე იმ აზრს ვადგივარ, რომ რუსთაველს ბევრს გადასხვაფერებას აბრალებენ მისის აზრისას, ბევრს დამალულ განზრახვას, რომელიც მას სრულიად არა ჰქონია. სიტყვა „საკამათებლად“ თავმდაბლობით უხმარია რუსთაველსაო. მე მგონია, ეს სიტყვა იმას უნდა ნიშნავდეს, თუ როგორ აფასებდენ იმ დროს ამისთანა ქმნილებას და იქმნება ამ გარემოებამ შეგვადგენინოს აზრი რუსთაველის მსმენელების და მკითხველების გონების განვითარებაზედ. მე ეს უფრო დასაჯერებლად მიმაჩნია.

როგორც უნდა იყოს, ეს კი ნამდვილი ჰგონიათ, რომ რუსთაველი დანიშნულ იქმნა დედოფლის ხაზინადრად და ამ თანამდებობას ასრულებდა 1212 წლამდე. იქნება ეს დიდი ადგილი მიენიჭა მას მისის სამსახურისათვის, ან იმ აზრით, რომ გაეადვილებინით მისთვის, მდაბალი კაცის შვილისთვის, სასახლეში მისვლა-მოსვლა. 1212 წელს რუსთაველმა, თამარის სიკვდილით გაბედითებულმა, მიანება თავი კავკასიას და იერუსალიმს წავიდა.

ასეთი იყო ის კაცი, რომელზედაც ქართული მატიანე მხოლოდ ორჯერ გაკვრით ლაპარაკობს, რომელსაც იხსენიებენ ზოგიერთნი ხელ-ნაწერნი, მაგრამ რომლის ქმნილებაც «ხელი-ხელ საგოგმანები» შეიქმნა. ამ ქმნილებას ჩვენ მეორე წერილში დავუბრუნდებით.

Доз. ценз. Тифлисъ, 27 Ноября 1

კვლავ, როგორც დღეს, შეურაცხყოფილნი".

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი")

ნოემბრის 26.

მოსკოვი. რიკოვმა გამოაცხადა, რომ სკოპინის ბანკის მოქმედება ვრცელდებოდა განსაკუთრებით იმ სესხთა გამო, რომელნიც მემამულეთა ეძლეოდათ და ბანკის დაცემა-კი გამოიწვია მის გამგეთა ბოროტ-მოქმედებამ და უზომო ცხოვრებამ; როდესაც საქმეებმა ცუდი მსვლელობა მიიღეს, მაშინ დაიწყო ნაძალადევი ანგარიშების შედგენა. რიკოვი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ ერთი მილიონი წაიღო ბანკიდამ, აწარმოვა ეს ფული თვის ქვა-ნახშირის საქმეში და ზარალი ნახა; ვალი გადიდდა პროცენტებისა და სხვისი ვექსელების განაღდებისა-გამო. რიკოვის ნაამხანაგევმა — დირექტორებმა განაცხადეს, რომ რიკოვის ამოღება ვალის ამბავი მათ არ იცოდენ; იონიკოვმა მოაგონა ესეთი ვალების აღება ქალაქის თავს 1881 წ. დეკემბერში, მაგრამ ის მუდამ ლოთობდა და ყურადღება არ მიაქციაო. ზოგიერთ შემოხარჯვისა გამო რიკოვმა ახსნა, რომ უბრუნებდა სესხს მიმბარებელთ, რომელნიც გაკოტრების წინად ძალას ხმარობდენ და რომ არ მიმეცაო — სთქვა რიკოვმა — რევოლვერებით დადიოდენ და მემუქრებოდენო.

ბუხარესტი. სამინისტრომ უკან წაიღო სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდი.

გოლივედი. გემი „რიშარდი" რომელიც ირლანდიიდამ გოლონდიისაკენ მიდიოდა დაიღუპა ყველა მოგზაურებით.

ნოემბრის 27.

პეტერბურგი. გუშინ საზამთრო სასახლეში იყო პარადი, გიორგის კავალერებისა.

სასამართლო წესების 25 წ. შესრულებისა გამო, იუსტიციის მინისტრმა მიიღო ტელეგრამები სასასამართლო უწყების რამდენიმე წარმომადგენელთაგან თხოვნით, რომ უსაყვარლესის მონარხის ფეხთით განაცხადოს განუსაზღვრელი ერთგულება და სრული მორჩილება მათი მოვალეობისა და კანონისადმი, ამ უმორჩილესს წარდგინებაზე ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება წარწერა: «დიდად ვმადლობ ყველას ამ ერთგულის გრძნობის განცხადებისათვის, რაზედაც დანდობილი ვარ და გრძნობს, რომ ისინი ყოველსა ამას დაამტკიცებენ საქმით და სახელმწიფოსათვის სამსახურით».

## ქუთაისის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა.

საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე 18 § ძალით, 29 დეკემბერს ამა 1884 წლისა, დილის 12 საათზე, ქ. ტფილისს, ტფილისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის სადგომზე, საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან დაგირავებულნი ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკში უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, რადგანაც მათ წესდებისამებრ ბანკის სახვედრო გადასახადი არ შეუტანიათ.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანახმად ბანკის წესდების მე 19 §-ისა შეავსებენ ბანკის გადასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნი ფულიდამ ზედ დამატებით სხვა და სხვა შეუვსებელის გადასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშნვაზე ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს. ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა ამავე ბანკის გირავნოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ მანეთი მანეთზე და აგრეთვე შეიძლება გადატანილი იქმნეს მყიდველზე; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნეს ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურსთ, მათ შეუძლიათ გასასყიდელთ მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შედგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § საფუძვლით დაიწყება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 15 იანვარს მომავლის 1885 წლისა.

### $18^7/_{12}$ წლიანნი სესხნი.

### ქ. თბილისს.

მელიქოვისა, ანნა ივანეს ასულის: პირველ განყოფილებაში, მეორე ნაწილში, ბაღის ქუჩაზე სამ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 204 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 24,841 მან. 27 კაპ., შესავს. გადასახ. 2,686 მან. 4 კაპ. — სულ 27,527 მან. 31 კაპ.

მემკვიდრეთა მირზოევისა, ივანე მინას ძის: პირველ განყოფილებაში, მესამე ნაწილში, მიხაილის ხიდთან, ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ქვითკირის დუქნები და მიწა, 758 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 99,364 მან. 98 კაპ., შესავს. გადასახ. 10,750 მან. 13 კაპ. — სულ 110,115 მან. 11 კაპ.

მათივე: პირველ განყოფილებაში, მესამე ნაწილში, მიხაილის ხიდთან, ქვითკირის დუქნები და მიწა 1259 კვადრ. საჟ; თავნი ვალი 107,645 მან. 44 კაპ., შესავს. გადასახ. 13,060 მან. 09 კაპ. — სულ 120,705 მან. 53 კაპ.

მათივე: პირველ განყოფილებაში, მესამე ნაწილში. მიხაილის ხიდთან, სამ ეტაჟიანი ქვითკირის დუქნები და მიწა, $243^1/_2$ კვადრ. საჟ; თავნი ვალი 107,645 მან. 44 კაპ., შესავს. გადასახ. 12,643 მან. 61 კაპ. — სულ 120,289 მან. 05 კაპ.

შადინოვისა, ალექსანდრე ივანეს ძის: პირველ განყოფილებაში, IV ნაწილში, ბანოვის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი — ერთი ოთხ ეტაჟიანი და მეორე ორ ეტაჟიანი და მიწა, 236 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 37,669 მან. 46 კაპ., შესავს. გადასახ. 3,764 მან. 88 კაპ. — სულ 41,434 მან. 34 კაპ.

მემკვიდრეთა შადინოვისა, მიხაილ ივანეს ძის: პირველ განყოფილებაში, მეოთხე ნაწილში, ველიამინოვის ქუჩაზე ორი ქვითკირის ორ ეტაჟიანი სახლი და მიწა, 236 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 16,952 მან. 38 კაპ., შესავს. გადასახ. 1,075 მან. 41 კაპ. — სულ 18,027 მან. 79 კაპ.

ბირათოვისა, ნინო ალექსანდრეს ასულის: 1 განყოფილებაში, 2 ნაწილში, ახალ-ბებუთოვის და კონსულის ქუჩებს შუა ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 108 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 19,471 მან. 38 კაპ., შესავს. 2038 მან. 40 კაპ. — სულ 21,509 მან. 78 კაპ.

ბაბაევისა, დავით ვასილის ძის: 2 განყოფილებაში, მე 6 ნაწილში ორი ქვითკირის ორ ეტაჟიანი სახლი მაღაზიებით და მიწა. 183 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 19,471 მან. 38 კაპ., შესავს. გადასახ. 1781 მან. 31 კაპ. — სულ 21,258 მან. 69 კაპ.

ნადიროვისა, ეკატირინე მიხაილის ასულის: მეორე განყოფილებაში მე 6 ნაწილში მლისაბედის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი და მიწა, 527 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 10,620 მან. 76 კაპ., შესავს. გადასახ. 643 მან. 41 კაპ. — სულ 11,264 მან. 17 კაპ.

ნადეჟდინისა, ნადეჟდა ალექსის ასულის: პირველ განყოფილებაში პირ ნაწილში, ჭავჭავაძის ქუჩაზე სამ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 231 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 22,126 მან. 60 კაპ., შესავს. გადასახ. 1333 მან. — სულ 23,459 მან. 60 კაპ.

ტერ-გრიგორიანცისა, ტერ-ოვანეს ტერ-ზაქარიას ძის, მღვდლისა: მეორე განყოფილებაში, მე 4 ნაწილში, ნიკოლაევის ქუჩაზე, ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 200 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 7257 მან. 51 კაპ., შესავს. გადასახ. 344 მან. 74 კაპ. — სულ 7602 მან. 25 კაპ.

შირიაევისა, ივანე მიხაილის ძის: მეორე განყოფილებაში, მე 8 ნაწილში, ჩუღურეთში ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 149 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 12,390 მან. 91 კაპ., შესავს. გადასახ. 1151 მან. 13 კაპ. — სულ 13,542 მან. 04 კაპ.

ბიჩაგოვისა, სალომე ტატოს ასულის: პირველ განყოფილებაში, პირველ ნაწილში, დავითის ეროზე, ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 83 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3681 მან. 46 კაპ., შესავს. გადასახადი 320 მან. 72 კაპ. — სულ 4002 მან. 18 კაპ.

ოსკლიანისა, იასონ სოფრომის ძის: მეორე განყოფილებაში, მეათე ნაწილში, მლისაბედის ქუჩაზე. ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ბაღი და მიწა 2,212, 51 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 27,610 მან. 91 კაპ., შესავს. გადასახ. 2843 მან. 10 კაპ. — სულ 30,454 მან. 01 კაპ.

ორბელოვისა. ნინო ივანეს ასულის: პირველ განყოფილებაში, პირველ ნაწილში, ოლგას ქუჩაზე, სამ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 200 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 10,123 მან. 99 კაპ., შესავს. გადასახ. 475 მან. 93 კაპ. — სულ 10,599 მან. 92 კაპ.

### $43^1/_2$ წლიანნი სესხნი.

### ტფილისის გუბერნიის მისივე მაზრისა.

მაღალოვისა, დავით იოსების ძის: თელოვნის აგარს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 141 დესიატ. 1720 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1955 მან. 56 კაპ., შესავს. გადასახ. 151 მან. 17 კაპ. — სულ 2106 მან. 73 კაპ.

მაღალოვისა. სოფიო იოსების ასულის: თელოვნის აგარს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 153 დესიატ. 440 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2942 მან. 50 კაპ., შესავს. გადასახ. 190 მან. 39 კაპ. — სულ 3132 მან. 89 კაპ.

(3 — 2)

Дов. ценз. Тифлисъ, 27 Ноября 1884 г. სტამბა არ. კილანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.